


# მშენებელი

# პატირახი


იუმერისგ.  
ქურნალი

№ 10

ფედერალისტების დროშა



სამსონი და თედორე. (შეშინებულნი) მაგრათ მოსწით, მაგრათ! ხომ-სცდაკთ, როგორ ჩვენ როგორ ვწევთ, ვაი თუ მართლა აიწიოს!  
 კიტა და გერონტი. (არხეინათ) ფიქრი ნუ გაქვთ! გინდათ—ათი უღელი კამერი დაუბით, ოღნავათაც ვერ დასძრავთ, ისე გვიჭირავს.



## გაზაფხულის რითმები.

(ავტორი სისტემა უკმადავს „ნასიფერ ყანწებს“ ამ ლექსის გადმოტანას)

კვლავ გავბდი ღირსი, გაზაფხულო, შენი ნახვისა,  
მიგრაფ ვის ვანდო, ბროლო-ზურმუხტო, მითხარი, ახ, ვისა,  
ეს საშინელი ქარავანი ფიქრო და ზრახვისა?..  
დღეს ნატამალიც ვერ ვიშოვე ვერსად ხახვისა!

გამოიღარა კვლავ ბუნებამ და იმ დარით მან  
თოვლის ბალიშს ქვეშ ამღერა ჩქერი, დარითმა...  
გულის სატრფოვაც გადიყარა მხარეზე შავი თმა...  
კატა შემიწევა მზარეულმა ჩემმა, დავითმა!

გულზე რომ სევდა მომწოლია, სადაურია?  
ბედმა ჩემ ღიმილს ცხარე ცემლი რად აღურია?  
ვგოდებ და მოვსტკვამ, ვით ბაბილონს მოშა ურია...  
სად გაგონილა ზაქის ხორცი ცხრა შაურია?

თავს ვერ დავახწევე, გადამიტანს კემანთ ურდო,  
მარად თან მახლავს აბეზარა, ვით ძველი სურდო,  
დღეს რად გაცივდა სისხლი ძარღვში, გუშინ რომ ჰხურდა?..  
ახ, სად ვიშოვო წვერილი ფული, მანათის ხურდა?

ახეთ განსაცდელს სიკვდილი სჯობს, სჯობს აგონია...  
დე, ფერიებმა ვარდი ჰშალონ და აგონ ია,  
მე, სატრფოვ, მაინც თავს მოვიკლავ, მა რა გგონია?..  
ექვს-ექვსი სხედან.. გაჰედლია მთლად ვაგონია!

თუმცა ზურმუხტათ ხვერდღება, დახე, ვიშ, ველი,  
ჩემი სატრფოც ისე შეენის, როგორც მთის შველი,  
მაგრამ, კვალუცო გაზაფხულო, შენ ვერ მიშველი...  
ტანისამოსი დამიძველდა, დავრჩი შიშველი!

ჰა, დავიფიწყე რომანტიზმი: ჰუგო, შუმანი,  
ჩვენს ფულტურისტებს მივაპყარი ფიქრი, გუმანი:  
ოჰ, რა კარგია მოხარული აბასთუმანი!..  
წყვილ ფეხსაცმელში როგორ მივსცე ოთხი თუმანი?

აჰა, გავშიშვლდი, ვიგრიხები და ვიკვანწები,  
რითიებს დავეტებ, ხელთ მიჭირავს... ლურჯი ყანწები!..

თავუნა.



# გზონაჲ.

რენესანსის სადღევრძელოს სვამს „ცისფერი ყან-  
წები“.

ახლა არა გვცალიან და თუ დრო დავგონა,  
შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით გავაცნობთ  
მკითხველს „ცისფერი ყანწების“ „რაობას“.

## წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალია ხელმწიფე. უფალო რედაქტორო!  
თქვენი პატივცემული ჟურნალი ერთად ერთი  
ორგანია, რომლისთვისაც „НЕСТЬ ЗЛИНЪ, НИ  
ИУДЕИ“ (იძულებული ვარ უტხო ენას მივმართო,  
ვინაიდან ეს სიტყვები წმ. სახარებისა ვახლავთ,  
ხოლო სახარება, როგორც მოგვსენებთ, ჯერაც  
არ არის რუსულიდან ნათარგმნი), თქვენ თანაბ-  
რის დაუნდობლობით ჰგესლავთ ყველას ვინც ამის  
ღირსია და სწორეთ ეს ვარემოება მამედვივნებს  
თქვენ პერქვეშ თავის შეფარებას მიუხედავით იმისა,  
რომ ვიცა—მასპინძლები ჩემს მსოფლ-მხედველო-  
ბას არ იზიარებენ.

დარწმუნებული ვახლავარ, ჩემი თანამოაზრე-  
ბი მისაყვედურებენ, როცა ამ წერილის სვანს გა-  
იცნობენ: „რა დროს ამაზე წერაო, მეტყვიან ისი-  
ნი, როდესაც მთელი ჩვენი პარტია და ყოველი  
გულწრფელი წევრი ამ პარტიისა ვალდებულია  
თავისი გონება და გულის ყური ქართულ კლუბის  
არჩევნებზე მოხმდარ უბედურებაზე შეაჩერონ სავ-  
სებით და ხანგრძლივო“.

მე ვეთანხმები ჩემს პარტიულ ამხანაგებს: თავ-  
მ. ჰეპუვაძის მამასახლისათ ვასვლა ჰეშმარიტთ  
ღიდ უბედურებას შეადგენს სოციალ-ფედერალიზ-  
მისათვის, მისი გამარჯვება მიუხედავით ჩვენ ძალთა  
სრულათ დარაზმვისა და მოზილიზაციისა რაღაც  
საბრაკო მარცხათ უნდა ჩიითვდოს.. ექვი არ  
არის აქ ჩვენ, ფედერალისტები, დამარცხდითი, და  
ეს დამარცხება იმდენათ უფრო სამწუხაროა, რამ-  
დენათ უფრო მოულოდნელი იყო, მაგრამ... მო-  
ისმინეთ, ამხანაგებო, ჩემი „შავრამი“:

არასოდეს მარცხდება ის, ვინც არ იბრძვის!  
ხოლო ვინ გამოჩნდება უტიფარი და იტყვის, ქარ-  
თველ სოც.-ფედერალისტთა პარტია კლუბის არ-  
ჩევნებზე არ იბრძოდაო? ვინ არის კანდიდირი და  
გამბედავის იმის უარყოფას, რომ ჩვენი მწყობრი  
გამოსვლა კლუბის ასპარეზზე იყო პირველი ნამდ-  
ვილი პოლიტიკური იერიში, მძაფრი და შეგნებუ-

გამოვიდა „ცისფერი ყანწები“.

თავში გვაშტიბელი პაოლო (თუ ვენეციელი  
აშვილი?) „პირველთქმით“ მიმართავს „საქართ-  
ველოს მგონებს, ყველა მეოცნებეს, ქართველ  
ხალხს“ და აღწყებს, რომ ის (გვაშტიბელი პაო-  
ლო) და მისი ძმები, რომელთა ვინაობა ჩვენ არ  
ვიცით, „მრავალთა სასიკვდილოთ მოვლენიან“  
„ბინძური შხით გამთბარ საქართველოს ლანდურ(?)  
ასტებს“ კოცონის დასანთებათ და ყოველგვარ  
ორგების ანუ უმსგავსეობათა საწარმოებლათ. მის  
გვაშტიბელ პაოლოს) და მის ძმებს განუზრახავთ  
საქართველოს უსახლგრო ქალაქათ ვარდაქმნა, გა-  
უფგებარისა და საოცარი სიტყვების“ შექმნა, „ქა-  
ლების ვნებიანათ სიყვარული“ და „დაუზოგავთ  
მრავლება ხალხისა“. ამ მიზნის მიღწევაში როგორც  
ირკვევა, „პირველთქმის“ ბოლოს, გვაშტიბელ  
პაოლოს და მის ძმებს ხელს უშლიან ვიღაც „სა-  
ქურისები და ხმა დაკარგული მომღერლები“, რომ-  
ელთაც ისინი სასტიკ ბრძოლას უტახადებენ და  
ერთხმათ უკვირებ, „არული, არული“!

შუაში გრიგოლ რაბაქიძეს თავი ზღვის სირე-  
ნათ წარმოუდგენია, გაუტიტვლებია თვისი „მაგა-  
რი ტანი“, გაწოლილა ტალღებზე და ვიღაც „ვრცე-  
ლი ვაგი“ ჩაუხუტებია. მიუხედავთ ვაჟის „სივრ-  
ცისა“ (და, უნდა ვიფიქროთ სიმძიმისაც) არც  
გრიგოლი და არც ვაჟი არ ჩიბირულან, რაიცა სავ-  
სებით ბ. გრიგოლის სიმსუბუქით უნდა აიხსნას.

შემდეგ ქნ(?) ელენე დაირიან უქანასკნელი  
ტანსაფარიც(!) კი გაუხდია, დაწოლილა და გადა-  
შტია ფარჩის საბანი. ამ დროს მას მიზარბია კატა  
და ქიბი მოულოკავს ვარდისფერ ერთი. ელენე  
დაირიანს კატის ლოკვა ვაჟის დორბლიან კოცნათ  
მოუწევია და ვნებისაგან მუსხლები მოლუნვია.

დასასრულ აკაკი ფილავის ჩინებული ძღვენი  
დაუშაბდებია ქართულ თეატრისათვის, „თვისი  
სურვილი“ მაგრამ ამ სურვილის არსს მთელი ერთი  
მწერლის სიერცეზე უმაღლავს საზოგადოებას.

ხოლო სულ ბოლოს, ვინმე ტ. ტაბიძე, რო-  
მელიც, აშკარათ ეტყობა, გრ. რომაქიძის ლაქია  
უნდა იყოს, „სრულიად სერიოზულათ“ ეროვნულ

ლი, რომლის წმინდა მიზანი ჩვენი სასიქადულო საზოგადოებრივი დაწესებულების ბნელ ძაღლთაგან დაცვა იყო? და თუ მინც დამარცხდა ჩვენი პარტია და გამარჯვდა „საქართველომ“, დღე, იცოდეს ამ უკანასკნელმა, რომ ეს მისი გამარჯვება პიროსის გამარჯვებასაც ვერ შეედრება და, რომ მოვიდეს თამი და აწვევ არს, ოდეს ჩვენი აღიამი აფრიადდებთ თავისუფლათ ეროვნულ კლუბის ბჭეთა ზედა!

და რაკი ასე სდგას საკითხი, მე გულდამწვინდებით მოვისმენ ჩემ თანამოაზრეთა საყვედურს და გადავად ამ წერილის საგანზე, რომელიც, შეიძლება მთელი პარტიის დამარცხებასთან შედარებით დიდმნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ თავისთავათ ფრიად საყურადღებო და საგულისხმეოა განხლავთ.

მე მოგახსენებთ ჩვენი წ. კ. ს—ის საქციელზე, რომლის შესახებ „სახ. ფურცელშიც“ იყო მოთავსებული ოციადე წერილი.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ წ. კ. საზოგადოება მარქსიზმის გზას დასდგამია და მტკიცეთ მიაქანებს ერს გადაგვიარებისა და ეროვნულ განხრწნილობის უფსკრულისაკენ.

საკმაო მოიგონოთ ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობის დადგენილება, რომლის თანახმათ უნდა გამოიცეს ბ. ლალიონის მარქსისტული მოთხრობები, ბ. ქუჩიშვილის მიერ გალექსილი „კავიტალი“, ბ. კალანდაძის სოციალ-დემოკრატიული ასტრონომია და თქვენ წინ ფართოდ გადაიშლება სურათი წემოხსენებულ საზოგადოების მუხანათობისა.

მაგრამ რა არის ყოველივე ეს იმასთან, რაც მე წ. კ. საზ—ის გამომკველობითი მოღვაწეობაში აღმოვაჩინეთ?


ვინ იყო თქვენის აზრით, ბ. რედაქტორო, განსვენებული იაკობ გოგებაშვილი?

ვიღრე თქვენ მიზასუბედეთ, დაგასწრობთ და მოგახსენებთ:

იაკობ გოგებაშვილი იყო წმინდა წყლის მარქსისტი და მისი „დღეა-ენა“, რომელსაც ოცი ათასობით ბეჭდავს ხოლმე ყოველწლივ „წ. კ. საზ.“, არის ყოვლად საშიში სახელმძღვანელო, თავიდან ბოლომდე ს.-დემოკრატიულ აზრებით გაქლენთილი!

მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვეირდება. აიღეთ აურჩევლათ რომელიმე მოთხრობა ან

ლექსი „დღეა-ენისა“, აი, თუნდ ცნობილი „მზეო ამოღი“.



„მზეო, ამოღი, ამოღი, ნუ ეფარები გორასა!

სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა!“.

რა არის ეს, თუ არ გალექსილი რეზიუმე „კომუნისტურ მანიფესტისა“?

ვაგონლა ასეთი ურცხვი და უტიფარი აგიტაცია საბავშვო სახელომძღვანელოს საშუალებით?

ამ ლექსს ზომ თვით კარლა ჩხვიძეც სიამოვნებით მოაწერს ხელს ამ წუთშივე, მიუხედავთ იმისა, რომ ავადმყოფობის გამო, შეიძლება კალმის დაქერაც უჭირდეს?

ხოლოდ გონებით ბრმა და ბუნებით ჩლონგი ტერნის აღამიანი ვერ მიხვდება, რომ ის მზე, რომლის ამოსვლასაც ნატრულობს პოეტე, არის მზე ინტერნაციონალურის (და არა ნაციონალურის, რადგან მზე, სამწუხაროთ, ყველა ეროვნებისათვის ერთია) სოციალიზმისა!

ხოლო რა არის „გორა“, ამ „მზეს“ რომ „ეფარება“? რა თქმა უნდა, მარქსისტებისათვის სახარება „ეროვნული კედელი“, ეროვნული, გორა, რომელიც მათდა სავალალოთ ხელს უშლის ერთი ერთის მეორეში გათქვეფვას.

„სიცივეს კაცი მოუკლავს!“ პირველი შეხედვით ეს სტრიქონი ყოვლად უწყინარი და უმანკოა: კაცი სიცივეს მოუკლავს, რა არის აქ ექვემსატანი.. მაგრამ რა კაცია ეს კაცი? შემდეგი სტრიქონი გვაძლევს ამის პასუხს: „საწყალი აგერ გორავსა!“ ხანგასმული სიტყვა „საწყალი“ ადვილათ ხსნის ყველაფერს: საწყალი, ღარიბი, ღატაკი, უსახლკარო, პროლეტარი—ეს სიტყვები სინონიმები გახლავთ და აშკარაა, რომ აქ სწორეთ პროლეტარი ჰყავს სახეში ავტორს.

მაშასადამე იმ „სიცივეს“ მაგიერაც ეროვნული თვით შეცნობა უნდა ვიგულისხმოთ და არა ჰაერის ტემპერატურის ძირს დაშვება.

როგორც ჰხედავთ, მთელი ლექსი ოსტატურ შიფრით დაწერილი ს-დემოკრატიულ მოწოდებას წარმოადგენს და ეს! შიფრი რომ დავხსნათ, შემდეგს ამოვიკითხავთ:

სოციალიზმო, განხორციელდი, განხორციელდი,

ნუ ეფარები ეროვნულ კედელს!  
ეროვნულ თვითშეცნობას კაცი ზნეობრივთ მოუკლავს,  
ეს კაცი პროლეტარია და აგერ გორავსა!

რა ვუწოდოთ ამას? დაცინვა ნორჩი თაობისა, მთელი ერის მომავლის აბურხად აგდება; უტიფრობა თუ გარყვნილობა?

ყველა ერთად!!  
ღიახ, ყველა ერთად!!

და აი შე წინადადება შემომაქვს: 1) დაუყოვნებლივ მოისპოს „დედა-ენა“, და აეკრძალოს კვლავისთვის მისი გამოცემა ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ისა.

დასასრულად, წინდაწინვე მადლობას მოგახსენებ, ბ. რედაქტორო, იმ სტუმართ მოყვარეობისათვის, რომელსაც, მრწამს, თქვენი ჟურნალი, ამ ჩემი წერილის შიშვართ გამოიჩინეს და დავშთები თქვენი ერთგული მონა


**ერთი ფედერალისტთაგანი.**

ვა მოწმებ, რომ ბ. „ერთი ფედერალისტთაგანი“ ყველას მიერ პატივსაცემი მეთაურთაგანია ს. ფედერალისტების პარტიისა და თუ თავის ვინაობას არ ამტკიცებს, ეს მხოლოდ მის თავმდაბლობას და სიმორცხვეს ამტკიცებს, რადგან სახელის მოხვეჭას გაურბის და როგორც სწვევია, უხმაურით აკეთებს საქმეს. კერძო წერილში ბ. ერთი ფედერალისტთაგანი“ გვბრძნობს „სახალხო ფურცელში“ ძალიან ადრე ამ საკითხის შესახებ რამდენიმე წერილს მოვათავსებო. ჩვენი მკითხველი მოუთმენლათ მოელოდება ამ სენსაციურ წერილების დაბეჭდვას.

**თაგუნა.**



# წიგანწული



წიგანწული სიძვირე,  
წიგანწული ვაჭრობა,  
წიგანწული ღალატი,  
ტყავისა გაძრობა.

მტანჯავს და ცრემლებს შგვრის  
ხალხისა წუხილი,  
სულის და გულისა  
საზარი დუღილი.

მტანჯავს და მაშფოთებს  
მის გმინვა ქუხილი,  
მაგრამ კი მაოცებს  
წიგანწული დუმილი.

ჯერ არვის უცდია  
ამგვარი დროება.  
ამგვარი სიცოცხლე  
ამ გვარი ცხოვრება.

ჯერ მომწერე არ არის  
ასეთი ამბისა,  
თავით და ფეხებით  
მახეში გამბისა.

და მიტომ დღეს გვმართებს  
გაქყუტა თვალების,  
ძებნა და მოპოვნა  
დამსნელი კვლების.

და მიტომ ჩვენ უნდა  
მივიღოთ ზომები,  
რომ მტერთა კლანჭების  
არ გავხდეთ მონები.

მაშ, ყველა ვეცადოთ,  
ავმალდეთ სულითა,  
უძლეველ აზრით და  
მედგარი გულითა.

მაშ, ყველამ შევიგნოთ  
ჩარჩების მძლეობა,  
ჩვენც გამოვიჩინოთ  
წიგანწული მხნეობა.

ჭვანჭელი ბზიკი

# მატარა ფელეტონი

გულუბრყვილოს დღიურიდან.

# მარკოზა და ესკავ

(გუნდა სენა)

...მეც მართლა არ მგვანია, რომ ეს სიძვირე და ყველაფრის უშოვნობა უფრო ვაქრების ბრალია თურმე რა არის, აქ ვაქრები არაფერ შუაში არიან! რის გამიდიდრება, რის ჯიბის გასქელება! საწყალი ვაქრები, თურმე, თვითონაც უმშობილოთა წყლებიანი საქველ-მოქმედო წარმოდგენა მაინც გაუმართონ ი უბედურებს! თუ ფქვილსა და სანოვანის მალავდენ და სჩქამავდენ, თურმე რა არი, ჩვენ ჯარს უფროსილდებოდნენ და სულ აზრურუმში გზავნიდნენ.

—მა როგორ გინდათ მოვიგოთ ომი? გველბენება ხატისოვი — ცოტა მუცელი მოიოკეთ, რომ ყველაფერი თავის კალამოტში ჩადგესო! გირვანქა ხორცი ისევ 13 კაპიკი ვახდება, პურ—3 კაპიკი. მალდი და შალი—არშინი ორი მანეთი და ყველაფერი ძველებურათ წავაო!

ხო და, მართლაც რა არი, რა მსუნავობაა?! ერთი—ორი დღე ვედარ მოუთმენიათ,

საწყალი ვაქრები, სუ იმათზე კი ვტბხავდით ჯოხსა! მე დარწმუნებული ვარ, მილოვადლოხანოვსაც ასე ტყუილათ დასწამეს ცილი! ვინ იცის, ის საცოდავებიც ჩვენი ჯარისთვის ზრუნავდნენ, აზრუმისთვის ავროვებდნენ მალდის ნაჭრებს და, მადლობის მაგიერ, ციხეში კი ამოაკოფინეს თავი! დმერთო! რამდენი ადამარსოვანი იწვის ჩვენს დროში უბრალოთ! ხვალვე უნდა წავიდე „უბრადა“-ში და ხატისოვი ვავიცნო.

დილა მშვიდობის, ესკავ! რავა ძვილათაი თქვამ, ბიჭო, სულს ხიზაიან ქუქულსათვით, სურდუ ხომ არ გიქირებს?—ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო მარკოზა, სურდუც კი მჭირს და ვოფოლენციეც. ვოფოლენციე კი არა სული რაფერ მიდგანა არ გიკვირს, რაც გაჯავრება მე გადაწყვედა წუხელ-ღამეს? მდიდარი და წულ-გამართული არცა რიის არ ვყოფილვარ, მარა ასე თლათ დასაწყლებულიც არ ვყოფილვარ. გადასაყდრი ქობი რომ მომცა მაინც, აფერს არ ვივი. ჩემს სახლში დათვი გაძვრება კედლებში, აბა, სახურავა სულ აღარ აქვს: რომ დავწობი გულ აღმა ღამე ჩემს ქობში ვარსკვლავებს ვთვლი ცაში, ისე მოჩანა სახურავში ყოლიფერი. წროულს ისლის წაფარება მინდოდა, მარა ვეფერი ვერ ვავახებზე; დავაყარე ისთველე ერთი ასი კონა ღომის ჩალა, მარა რომ იმბგვინა ქათმებმა სარჩინიავში, სულ ბუქნას შობოდნენ ერთ კვირის და ყველაი ძირს ჩამეცთანეს. ხო, იმას ვამბობდი... მუშინ საჩალავში ვიყავი, აღრე მინდა ყანას მოვკლდო ხელი. აი ბაღებში ქე შამომეცალა, ყველაი ჩხუბშია და თუ ჰაწი აღრე არ დევიწყებ ყანა, ველაფერს ვერ მუვასწრებ. სალამოს შეეკარი ერთი კვირითი შეშა და ჩამევიტანე სახლში, ქალმა, მატრონიამ ქაღი და ლობიეი დამახვედრა, დევიხფესეთ, დანარჩენი ფინჩებში ჩემს ძალს, მურიას წუუყარე, დავახფეს იგიც. მერე— „გარეთ ვადი ძალლო“ მეთქი, „შუუმახე, სწვევრტა და ქე გვიდა კედელში. სულელი იქნება კარები ეძებოს. სანამ კართან მივიდოდეს, აგერ გულუბტება ხან ერთ კედელში, ხან მეორეში. დავწევით მერე და იგი იყო მელულებოდა თვალი, რომ ამოვარდა საზინელი ქარი, დუუბერა ჩვენს სახლს და შეიქნა ერთი ზუზუნნი, სისინი, ფშვტიჩნი კედლებში, საბანი ქე გადავადლიტა თავზე, დეიწყო ჩემმა მატრონიამ მისი ვაჩენა-დაბადების და შეამაჟლოს წყევლა: „ღმერთო, რეიზა გამაინე, ღმერთო რეიზა მომიყვანე ამ დღემდი, ღმერთო ცეცხლი და თაკარი გულჩინე ჩემ შეამაჟლსო.—ბეჩა, ვუთხარი, რას იწყევლები, ჩვენზე ვარსე ვასაქირშიც კი არიან ქვეყანაზე, რა იქნა მეთქინ.—ჩვენზე უფრო გაქვირებული ვინდა არისო, შემომიკლაპუნა.—ვინ არის მეთქინ და—აი, ვინში ხალხი რომ არის, ბალი-

ნ. აზიანი.

კარტეში, იგენი ვარეს დღეში არიან მეთქინ.— გინდა ბალიკარტეში ყოფილხარ და გინდა ჩვენს სახლშიო.—ხო და, თუ ასეა, ვითამ ჩვენც ბალიკარტეში ვართ, ისე წარმევიდგინოთ ახლა, წუწუწვით და წუწუწრუთ მეთქინ. ჩვევხუტეთ ერთმანეთს და ჩავწვიეთ ორივე პირჩაღმა, ვითამ მართალი ბალიკარტეში ვიყავით, ისე ვფიქრობდით. შეჩერდა უცებ ქარი, მეფითქვეთ სული, ახლა თავზე სახლის დანტროვის აღარ შეშინოდა, გადმოგბრუნდით გულ-აღმა, მარა შენს ტერს იმისანა. წამოურტყა, მარა რა წამოურტყა წვიმამ! სათ გინდა ახლა რომ წახვიდე, სათ იშონი გადსაყურდებელს. დეიწყია მატრონიამ მალაზონივით კიდო წყველა. წამოდგა, თუ სამე კი ქონდა ტაშტი, კარდალი, კაპქანი, ქოთანნი, საინი, ჯამი ყველანი მოწყაა სახლში, ზოგი ვეგრე შუულგა წვიმას, ზოგი აგერ, მარა რა უუთავდებოდა? რავარც ვარეთ, ისე წვიდა შითაც. ჩამოარიგა თუ არა აგი ქირქლები, შეიქნა სახლში რიკინ-რიკინი, —სულ სხვა და სხვა ხმაზე უკრავდა ტაშტი, ქვაბი, კარდალი, კაპქანი, საინი და ჯამი. რომელი ბუზიკა ან არლანი შეედრებოდა იგენს? ქუთეისის სობოროს ზარისაგეთ რეკავდენ. მატრონიეს შემეშინა, თვარა ისე ამოცეკვდა ფეხები, რომ ერთს ჩამუღვარდი ცეკვით ბუქნას. მეგებუტე საბანი ანაფორასავით და გაგჩერდი კუთხეში ჩვენ ხუცესსავით, დავაყედი ჩემს ტანისამოსს მოკვსავით, არ დამისოლდეს მეთქინ. სწორეთ რომ ბალიკარტეში ვიყავით, მარა იქინე ყოფვა კიდომ ჯობს, იქინე მინც ერთ ჯერ მოკვტები კაცი, როცხა მოგბთება ტყვია და აქანაი წელნიღში ასჯერ მოკვტები... რავარც იქნა გავთენეთ თეთრათ მე და მატრონიამ აგი დამედილას ადრე ქურტლები დავცალეთ და ცეცხლი მოვაპუტუნეთ. იგი იყო საუბზე უნდა მექამა, რომ წყეული ექვთიმელაის ხმაი გვევიგონე. მაშინათე ვიცანი, ქალს ფუთხარი, შენ ფუთხარი, შინ არ არის თქვა, მე გამოვტი ვარეთ, გვევიხედე, დუუკაყები ხელში სამოცდა ორ სანტიმეტრიანი\*) ჩემი ვქესილი და მომადგა კარზე. დევიბი უცებ უკან და ფაცხის უკან კავმაგრდი. როცა დევინახე შინ გაბრუნდა ცოტა წინ წამოვიწიე. იგი იყო უნდა დამეკავებია ისთეველე ჩემი პოზიკია, რომ მეორე მევიდა, სამოც სანტიმეტრიან ვექსილით. დევიბი, კიდევ უკან და სასიმინდის უკან გავმაგრდი.—აბა,

როგორც ვხედავ, მალე მომიწევს ერთი, ხელ-ჩართული ბრძოლა და ვინ იცის რაგანა შეწყვეტავს. თუ გვევიზარჯვე იგია, თუ არა... ვადანხობიებს ექვთიმე შეჩვენებული სამოცდა ორ მანეთს კონტრაბუციას.

შვილობით, მარკოზა, მოგაცოთნე კაცი, ახლა ორი ნაპირი გექნებოდა მოჩალოლი.

ლუკაიეს ობოლი.

# მ მ მ მ მ მ

ნუ გამიწყრები, მკითხველო, რომ ლექსი ცოტა გრძელია, და რომ მასთანვე შარადაც ადვილი ასახსნელია.

ის მხედრობაში მსახურებს მიღებული აქვს ფიცია, რომ ჯარს უკლებლოდ აძლიოს საზრდო და ამუნიცია.

თორემ თუ ფიცი გასტება, ელის სასჯელი დილით, (მევერი მომხდარა რუსეთის ამგვარი მაგალითი).

მისი სახელის თავიდან ჩვენ ოთხი ასო გვეჭირია, ჩამოესურათ იგი და სხვისგან უკუვიქციოთ პირია.

ვინაც პირველად სწერია ქართულად მეფეთა სიაში და ქვაბში განძის პოვნითა ცნობილ არს ისტორიაში;

ვისაც აწერენ ჩინებულ სამხედრო ნიჭის ქონებას, და მასთანავე მხედრული ანბანის გამოგონებას,


ჩვენ მისსა სახელს მარცვლებად დავყოფთ და დავანაწილებთ მარცვალს მეორეს დავსტოვებთ სხვებს წავშლით ჩამოვაცილებთ.

იქვე მივაწერთ ერთ ასოს (უშრომოდ უძებლნენილა) ქორონიკონში რომელიც ოცჯერ ასს იტყვის მთელადა.

\*) სანტიმეტრი უდრის ერთ მანათს.



# ქართველ მოღვაწის საქმიანობა



## დილიდან საღამომდე.

მინც არ შესდგა შარადა,  
კვლავ ითხოვეს მიმატებასა,  
ჩვენაც ამ მიზნით გადავშლით  
ძველ წიგნსა დაბადებასა.

იქიდან გვინდა სახელი  
ჩვენ ერთი ებრაელისა,  
წინასწარმეტყველად ცნობილის  
ლეთისთვის უარის მიქველისა.

(ამ უარობისთვის ღმერთმა ის  
კიდევ დასაჯა დიდთა:  
თევზის მუცელი მისცა მას  
სამ ღღე და ღამეს ბინათა).

მის სახელს სრულად ვადმოგწერთ  
და სხვაგან გავეშურებთ  
(შარადას ვერას უშველით  
მარტო ამ წიგნის ყურებით).


ებლო რაც გვინდა ჩვენ იმას,  
შევვადებთ სამქედლოშია,  
მრავალი ცხოველისათვის  
იგი ძვირუფასი ქოშია.

აქ დღეიწეროთ იმ ქოშის  
მეორე ნახევარია  
და ჩვენსა კვლევა-ძიებას  
მით დაედება ზღვარია,


მაგრამ ჩვენ თავსა ებლავე  
ვერ მივსცემთ დასვენებასა;  
სჯობს, რომ საჩქაროდ შეუდგეთ  
შარადის აშენებასა.

თავში დავსწეროთ პირველი  
ნანახი შენაძენია,  
მერმე მეორე, მესამე,  
და ასე დანარჩენია.





# ქართულ მოღვაწის საქმიანობა



სალამოდან დილაშდღე.

როდესაც მორჩით შრომასა  
ზღალ გვექნეს ყველაფერია,  
შერმე კი ვალაიკითხეთ,  
ნახეთ, რა დავიწერია?

ვოშ რა დიდი ცნებაა,  
რა აზრის გამოზნატელი?!  
ძმობა-ერთობით ერების  
გაღამეკანძ-გაღამზლარაფელი.

მის წინააღმდეგ შეთქმულან  
ყველა "შავ-ბნელი ძალები—  
მაშვრალ ტვირთ მიმით ხორცმეტნი,  
ცხოვერების ნაძირალბები.

და გაფუთრებით ყოველ მხრივ  
უტყვევენ მისსა ზღუდესა,  
ლამობენ იგი საეგებიით  
წაიქტეს გაღაბრუნდესა.

მას კი ოდნავაც ვერ აკრთობს  
ურცილები მტრისა ძალით,  
სწამს გამარჯულებას მოუტანს  
ბრწყინვალე მომავალით.

კვახი.

## სადღეისო დიბლოგი.

მეგრელი და იმერელი, უსაქმონი—უაღილო-  
ნი ერევისს მოღანზე სკამზე სხედან.

მეგრელი ქალაქის თვითმართველობის შენო-  
ბას მისჩერებია და იცინის.

— რას იცინი ამხანავო? დავკითხა იმერელი.

— იცი რა? ამას წინათ ჩემმა ამხანავმა ქარ-  
თულ წარმოდგენაზე წამიყვანა. თამაშობდენ „ოტე-  
ლოს“ ვინცხა... შევმი კაცმა კოლი კისთვის უნდა

ჰო და ფარდა რომ აიხადა, სკენა სულ ასე იყო მოწყობილი: მიოდანი, დიდი სახლი... გამოვიდა ერთი კაცი, მივიდა სახლთან და დიწყო ყვირილი: „ქურდები! ოჰ, ქურდები! ქურდები მეთქი!“..

— მერე რაო!

— რა და ახლა მეც მინდა, მივიღე „უბრავასთან“ და დავიყვირო: „ქურდები, ოჰ, ქურდები-მეთქი!

— იყვირებ და იმდენს გცემენ, სიგძე-სიგანეს გაგისწორებენ.

— რატომ, ჯიმა, ტყუილია თუ? არ არიან ქურდები თუ?

— მართალი რომაა ისინი „ტყუილად“ გადატყვევნი...შენ რა გეკითხება? შენს ტყავში დაბტიე.

— რატომ? რატომ დევდებო ჩემს ქერქში? რუსის კანონი ხომ ყველასათვის თანასწორია?

— მერე?

— აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ხომ ორივე ქურდებია?

— ასე ამბობენ, მარა საქმეში კი „ერთი“ არაა. შენ რომ ცხენს მოიპარავ და მილოვი და ადელხანოვი ერთ მილიონ არშინ მაუღს...

— მოიცა, სი კოჩი! ცხენის მოპარვა ვის ვაუგონია? მოპარვა ის არის—რამეს აიღებ ჩემთან, ისე, რომ არაფერი დაგინახოს, ჩაიღებ ჯიბეში და წამოიღებ... თუ შენ მოგაქვს—მაშინ ხარ „ქურდი... ცხენი-კი...“ხედავ რომ შეგჯდები—ცხენს მივეყვარ... მაშასადამე ცხენი მე მიპარავს... რადგან იმას მივეყვარ!..

— კარგი, მაგრამ ტყეში რომ მიიყვან და დააბაშ?

— რომ არ დავაბა, ქე წამოვა თავის სახლში.

— ჰო და რომ დააბაშ, იმითრომაც ქურდი ხარ. შენ თითონ ამართლებ მილოვს და ადელხანოვს. იმათ თავიანთი ხელით არც წამოუღიათ საქონელი და არც „დაუბამთ“. საქონელი დროგმა და ფურგუნმა წამოიღო. დროგზე დაუღეს მუშებმა, გადმოიღეს მუშებმა, მალაზიაში ჩაიბარეს ნოქრებმა, გაჰყიდეს ნოქრებმა. მაშ ვინ არიან აქ ქურდები? მედროგები, მუშები და ნოქრები! როცა საინტენდენტოს საწყობიდან დროგებით საქონელს ეზიდებოდნენ, მილოვი და ადელხანოვი „დუმის ზასუღა-მარტო“ ისტანბულს და იმაზე მსჯელობდნენ, თუ როგორ ან რუსეთი განსცადელისაგან.

— რუსეთის დახსნაზე ფიქრობდენ და ხაზინას ქე ქურდადენდენ?

— მერე რა ვუყოთ? შენ „ჩემი“ მარჯვებაში რამე მოიპარო და იმ სახლს ცეცხლი გაუჩნდეს ხომ მიეშველები ჩაქრობაზე? შენ ტყვილათ გიხარია, რომ ამხანაგები იშოვნენ! ისე მშრალათ გამოვლენ ამ საქმიდან, როგორც ბატი წყლიდან.

— მაშ ვის დასჯიან?

— ვისა და ვისაც ფული არა აქვს. შენ რომ ცხენის ქულობაზე დაგოვირეს, ფული რომ გქონოდა ხომ არ დაგსჯიდნენ?

— ფული რომ მქონდეს, რაღათ მოვიპარავ?! — იმათ ფულიც აქვთ და მიანც იპარავენ...

— მერე არ რცხენიათ?

— ჩვეულებას! შენ რომ ესლა ერთბაშათ გამდიდრდე, ხომ ვერ დაიშლი ცხენის ქურდობას? მეგრელს ვააზმორა, ტანში ქრუანტელმა დაუჯარა, თავი ჩაღუნა და გაიცინა.

— დღეში რომ კრესლოვებში იხსდნენ, ხომ გასვარეს კრესლოვები თავიანთი საქციელით? ვინ უნდა გასწმინდოს ახლა?

— ვინა და ხატისოვმა!

ქაფური.

# მოხსენება ხონიდან.

## III

### ინტერვიუ ქ-ნ ეკატერინე ბახტაძისსთან.

თქვენო უეშმაკებულესობაზე! სანამ მოხსენების წერას შეუდგებოდენ, ნება მომეცი ბოლიში მოვიხადო ქ-ნ ეკატერინეს წინაშე: ისა და მისი მეუღლე ხონში პირველები ბრძანებულან და მე კი ინტერვუები სხვებისაგან დავიწყე, რითაც როგორც ახლა გამოირკვა, დიდთ მიწყენინებია მათთვის.

ქალ-ბატონი ეკატერინე მე შემთხვევით ვაგიცანი ერთ ნაწრობის ოჯახში; მან შემოსვლისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება: დინჯათ, ოდნავ მოლიმარი სახით შემოვიდა იგი და მოწყალეობის გამომახატველი თვალებით გადახედა დამხუროთ; ერთი წუთით კარებში შეჩერების შემდეგ, ჯერ ყველას საერთო სალაში მოგვცა და შემდეგ კი, ჩამოართვა რა ხელი დიასახლისს, ჩამოყვა სტუმრებს. ჩემი ჯერიც მოახლოვდა. მე, როგორც შეეფერებოდა თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილეს, სწრაფთა წამოვდექე, ჩემს საკუთარ ტანზე მიმოვი-

ხელე, — ურიგოდ არა მიქანდეს რა მეოქი და მოვეშაღე.

— მათი უეშმაკებულესობის მოადგილე — აბი, ბეჯითის კალოთი წარუდგინე ჩემი თავი და ნახად გამოწვილი ხელზე მოწიწებით ვეამბორე.

— მაშ თქვენ ბრძანდებით აბი, გაიკვირა მან და ცბიერებით აღსაესე ღიმილის გამოშხატველ თვალებით დამაცქერდა.

— სწორეთ, მე ვახლავართ.

— ძლიერ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ძლიერ სასიამოვნოა და ძალიან ვწუხვარ, რომ გაცნობისთანავე საყვედურის თქმა მიხთება.

— რა დამიშავებია, დიდათ პატრეცემულო ქალბატონო, რით დავიშახურე თქვენი საყვედური... მიბრძანეთ, ქალბატონო, და მე მზად ვარ დაუყონებლივ შევიწინაო შეცვალდები ჩემნი.

— ბევრი არაფერი, მაგრამ მიიწე დაშავეთ, განაგრძო მან: თქვენ პირველი ინტერვიუ სხვის გაუკეთეთ და არა მე ან ჩემს ქმარს; ხონში პირველუბი მე და ჩემი მათე ვახლავართ; რაც კი დაწესებულდებოდა ხონში — კულტურულია იგი თუ არა კულტურული — ყოველგან თავმჯდომარეთ ამ მე ვარ, ან მათე. ხონის საურთიერთო საზოგადოების თავმჯდომარე და მმართველი მათეა; ამ დაწესებულებაში არ შეიძლება რამე გაკეთდეს მისი სურვილის წინააღმდეგ. მართალია არიან დირექტორები, საბჭოს წევრები, მაგრამ ყველა ესენი მათეს სურვილის აღმასრულებელნი არიან. წ. კ. საზ. განყოფილების თავმჯდომარეც მათე ვახლავს, მათეა აგრეთვე თავმჯდომარე კოლონიატური ამხანაგობისაც. ზოგიერთებს ჰქონდათ ვერაფერი განზრახვა ამ უკანასკნელში იგი არ აერჩიათ თავმჯდომარეთ, მაგრამ მათემ აქაც მოახერხა გამარჯვება: მან გამგეობის პირველს სხდომაზე, რომელზედაც უნდა აერჩიათ პრეზიდენტი, სხდომის დაწყებთანავე განაცხადა: „მე არ შემიძლია არც მდივნობა და არც ხაზინადრობა“. ამ განცხადებამ თავზარი დასცა მის მოწინააღმდეგეთ, მაგრამ რას იქმნენ, — იძულებული გახთენ აერჩიათ თავმჯდომარე.

ქალთა წრის თავმჯდომარე კი მე ვახლავარ, დრამატული წრის თავმჯდომარეც მე ვარ; ვარ აგრეთვე წევრი წ. კ. საზ. განყოფილების გამგობისა. ამ უკანასკნელში ერთი წელი, თუ ცოტა მეტი, თავმჯდომარის მოვალეობასაც ვასრულებდი.

და აი, ბნო აბო, ჩვენ გვერდი ავვიარეთ და პირველი ინტერვიუ სხვის გაუკეთეთ. უნდა ვა-

მოგიტყდეთ, რომ ეგ, როგორც ჩემთვის, ისე ჩემს მათესთვის, საწყენია.

— თუ მარტო ეგ არის ჩემთვის საწყენი, ბოდიშს ვიხითი, დიდ ბოდიშს ვიხითი თქვენსა და თქვენს მათეს წინაშე და ვბედვ პატრება გთხოვოთ.

ახლა კი ნება მიბოძეთ აქვე გაგიკეთოთ ინტერვიუ.

— მე მზად ვახლავარ. ქ-ნ ეკატერინეს მეტი მეტი სიხარულით სახე გაუწითლდა, თვალუბი გაუბრწყინდა და სმენათ იქცა.

— მაშ გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე: რას საქმიანობდა წ. კ. საზ. განყოფილება თქვენი თავმჯდომარეობის დროს?

— გამგეობამ ჩემი თავმჯდომარეობის დროს შეკრიბა 200 მანეთამდე საწევრო გადასახადი, გამართა აგრეთვე ბარე ორი საღამო, ერთი სეირნობა; როგორც საღამოებმა, ისე სეირნობამაც გვირჩიანი შემოსავალი მოგვცა.

— სხვა?

— სხვა რა უნდა მოესწრო ერთი წლის განმავლობაში? გაიკვირა ქ-ნ ეკატერინემ და მხრები აიჩჩია.

— ამ საზოგადოებას ხომ გარკვეული მიზანი აქვს: წერა-კითხვის გავრცელება. ნუ თუ არ ცდილობართ ამ მიზნის და გვიარ რამე ვაგვეკეთებიათ?

— მმ... წერა-კითხვა... ხონში სასწავლებლები საკმარისია, ასე რომ აქ წერა-კითხვას უჩვენოთაც ავრცელებენ.

— მაგრამ ხომ შეიძლება ისეთებიც იყვნენ, რომელთაც არ შეუძლიათ სხვა და სხვა მიზეზების გამო არსებულ სკოლებში იარონ; მაგალითად ხარაზების, მკედლების და სხვა ამგვართა შვირდები, ხომ შეიძლებოდა, რომ ამისთანებისათვის საკვირაო სკოლი გაეხსნათ?

— შეძლებით, როგორ არა, მაგრამ ამისთვის სამწუხაროთ დრო არ მოგვრჩია. მეცა და ჩემი მათეც, როგორც უკვე მოგახსენეთ, თითქმის ყველა საზოგადოებებში და წრეებში ვართ თავმჯდომარეებთ; ამას გარდა ჩემი მათე ექიმი არის და ხომ მოგახსენებთ ექიმის მოვალეობა. მაშასადამე ჩვენ ვეღარ მოვიცალეთ. ექიმში პოლიკარზე ჩიკივიშვილია გამგეობის წევრი, მაგრამ ამისათვის დრო არც იმას მორჩა; იგი გამგეობის სხდომებზე დასასწრებლათაც კი ვერ იცლის. სხვისთვის ვისთვის უნდა

# ს ა ს უ ს ი

ეროვნული  
გაზეთი



ი. დულაძე. ორი თვეა ვწერ... რამდენი ქაღალდი დავანდე, მაგრამ პასუხი ჯერაც მზათ არ არის. პალმოვი და შოი შლინგი რომ ჩემთან იყვნენ სამხატურში, გავიხარე ადვილათ გავცემდი პასუხს: ხაშური და მისი ჯანი, მაგრამ...

მიგვენდო აბა საკვირაო სკოლის გახსნა და მოვლა, — მასიკოს ხომ ვერ მივანდობდი?!

— შეიძლება სახალხო კითხვები მოაწყვეთ, ან ლექციები? ამისათვის არც ისე დიდი დრო იყო საჭირო.

— ვერც ეს მოვანებრეთ, ბ-ნო აბო. ადგილობრივად, თუ დასელებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელთაც ჩვენ არამც და არამც არ დავანებებთ წ. კ. საზ. განყოფილების სახელით ლექციების კითხვას, მხოლოდ ჩემი მათე ლექტორობს; მან ამას წინეთ კიდევ განიზრახა ლექციის წაკითხვა, მაგრამ სამწუხაროთ მსმენელთა რიცხვი მეტად დიდი აღმოჩნდა, იმდენათ დიდი, რომ ადგილობრივმა თეატრის დარბაზმა ვერ დაიტია და ჩვენც იძულებული შევიქენით ლექცია გადავგვედო იმ დრომდე, სანამ სახალხო აუდიტორიას არ ავა-

შენებთ. რაც შეეხება სახალხო კითხვებს.. ერთი სიტყვით დროს უქონლობა გვიშლის ხელს.

— ამ შემთხვევაში შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, რომ თქვენ და თქვენს მათეს ხელი აგეღოთ ზოგიერთ საზოგადოებათა თავმჯდომარეობაზე და გამგეობათა წევრობაზედაც?

— აბა ამას რას ბრძანებთ, ბ-ნო აბო?! იწყინა ქ-ნ ეკატერინემ და ისეთი თვალები მიჩინა, რომ მზად ვიყავ სადღაც შორს, შორს გადავკარგულიყავი; ოღონდ კი...

— უჩვენოთ სად რა ვაკეთებთ, ვინ გააკეთებს?! ან ვინ ჯნდა ავირჩიოთ სხვა?.. დასელები ხომ არა?.. ვერა, ბ-ნო აბო, დასელებს ჩვენ ერთგულათ ვერკებით ყოველგვარ დაწესებულებებიდან. ამას გარდაც, ჩვენ შორის დარჩეს და, მე ერთი ავთამყოფობა მჭირს: თუ კი რაიმე არჩევნები



და მე არ ამირჩიეს, ისტერია მომივლის, გული წამიბო...  
— ეგ საშიში ავადმყოფობა, საშიში, — გა-  
ვაწყვეტდი მე, — და თუ ნებას დამრთავთ, მე მო-  
გართმევთ უეზარ წამალს. მართალია თქვენ ექიმის  
კოლი ბრძანდებით, მაგრამ დარწმუნებით შემიძ-  
ლია მოგახსენოთ, რომ ჩემ მიერ გამოგონილი და  
ემშაკთა საექიმო სამართველოს მიერ მრავალ გა-  
მოცდის შემდეგ უეზარ საშვალებით აღიარებულ  
ხეობას მზგავსი, თქვენს მათეს არა ეცოდინება რა.  
თქვენ ავადმყოფობას ზღაპრულად სისწრაფით გააქ-  
რობს ჩემი ფირმის შურაყუდინას აბი. მე მოვართ-  
მევ სასინჯავით სამ აბს და, თუ თქვენც დარწმუნ-  
დებით მის სიკეთეში, განაგრძეთ მიღება, საშს დღეს  
— დღეში სამ-სამი. აბების მიღება ხონში შეგიძლიათ  
„ეშმ. მათრ.“ აგენტ მიტ. გალდავაქსთან.

— დიდი პაღლობილი ვიქნები, ბ-ნო აბო,  
დიდი პაღლობელი; აუცილებლათ ვცდი, თორემ  
ყოველ არჩევნებზე გულის კანკალ-ფირილმა ლამის  
დამაღნოს ამოდენა ქალი.  
ამ დროს სტუმართ მოყვარე დიასახლისმა  
თერმონიანზე მიგვიპატიყო და ჩვენი ინტერვიუც  
შეწყდა.  
თქვენი უეშაკებულესობის მოადვილე ხონში  
აბი.

### პატარა მესტვირული

ემშაკო! რა ვქნა არ ვიცი,  
საით ვიბრუნო პირია,  
ან ვის ვაუწყო დღეს ჩემი  
უხოზო ვასაქირია.  
ვისზედაც სამართლიანათ  
აეახმატკბილე სტვირია,  
და ვინცა მწვავე მათრახით  
შეიქნა ანაყვირია,  
ყველამ წამოყო თავი და  
ყველამ ჩამასო კბილია.

ბეგრი ფეხისა ხმას აყვა,  
მით გაიმრავლდა მტერია,  
შეწომესიერ ყოველ მხრივ  
ახალგაზრდა თუ ბერიც.  
დამაწყეს ლანძღვა-მუქარა  
სასტიკ გულ-ანამტერია.

საბედნიეროთ არა მაქვს  
ულვაში, არცა წვერია  
თორემ დღეულისინ, ღმერთმანი  
არ შემრჩებოდა ღერია.

ასეა ჩემი ცხოვრება  
ემშაკო, ჩემო ბიძია!  
და თუ ხანდახან მოხედავ,  
მადლი იქნება დილია.  
თორემ დღეს ჩემი სიცოცხლე  
სწორეთ რომ ბუწვზე ჰკილია.  
ვაგნელი ბზიკი.

### წერილი სოხუმიდან.

ძმაო ემშაკო!  
თუ გახსოვს, დიდი ხანი კია მას შემდეგ, ნა-  
რევიო ასეთი ცნობა იყო ამერიკიდან.

„ამერიკა — სწერდა გავეთი, სასწაულების ქვე-  
ყანაა. 24 საათში ეკლესია ააშენეს და შგ სწირეს  
კიდეც...“

მართალი ვითხრა მაშინ ეს სასწაული შეზარ-  
ბდა და ვფიქრე, როდის იქნება საქართველოშიაც  
ამ სიმაღლემდე აახწიოს კულტურამამეთქი და გა-  
ვიხარინ მე ეს ნატვრა ამისრულდა.

ჩვენ, სუხუმელები, ორ საათში დრამატიულ  
საზოგადოებას ვაარსებთ და პრესასაც ვთამაშობთ.

არ იფიქრო ვხუმრობდე!  
წასულ კვირას აქ დრამატიული საზოგადოე-  
ბის კრება მოხდა. მოვიდნენ, იბასეს, გამგეობა  
აირჩიეს და წარმოადგენაც გამართეს.

პიესა სულ ახალია... დრამატიული ლიტერა-  
ტურის ახალი პრინციპებით დაწერილი.

გაცნობებ მის შინაარსს:  
მუშტი-კრივი.

პიესა 1 მოქმე. თხზულება სუხუმელებისა.

ფარდა იწვევა. სცენა ცარიელია. ფანდთან  
ხაღხი გროვდება. ირჩევენ თავმჯდომარეს და იმარ-  
თება კამათი. მსჯელობენ, ლაპარაკობენ... საკით-  
ხები ირკვევა. ირჩევენ გამგეობის წევრებს... და  
რადგან კრების უმრავლესობას სტ. დ. შეადგენს.  
გამგეობის მთელი შემადგენელობა თითქმის ს. დ.  
ამ დროს წამოყარდება ფედერალისტრი (ამ მსახიო-  
ბის გვიარი ვერ გავიგებ) და ამბობს: „ეს უპატიოს-  
ნებაა!.. ეს არჩევნები არ არის კანონიერი!“ — ო. ამ

სიტყვებზე ხალხიდან გამოვარდება ს. დ. სტუდენტი —ლი. —როგორ თუ შენ ჩვენს მოქმედებას უპატიოსნო უწოდებო და, როგორც ვეფხი ეცემა ფედერალისტს თმაში, ჩაიდებს ფეხ-ქვეშ და დაუწყებს ცემას. მივარდებიან, გააშვლებენ... სტუდენტი სცენიდან გაჰყავთ. ნაცემი ფედერალისტი წამოდგება, მტვერს ვიბერტყავს, მივარდება ერთ ს. დ. და დაუწყებს ცემას. ს.ბი რა დანიხავენ ამას, დაცემენ ყოინას: ჰკა მავას! მიცვივლებიან ფედერალისტს და დაუწყებენ ცემას.

ამ დროს საიდამლე ცამოვარდება ერთი ხმალიანი. „გაუპარჯოს!“ შეპყვივრებს ნაცემი თავმჯდომარე ზარს რეკს. ფარდა ეშვება.

ეს არის პიესის შინაარსი. რეცენზიას შემდეგ მოგაწოდებ, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა მსახიობი, მოკრივე სტუდენტი, რომელსაც დიდი ნიჭი ეტყობა. საქირაო მისი კურსებზე გაგზავნა.

სულ-ხუმელი.

დეპეშები.

ფოთი. რადგან შანტაისტების მუქარამ, ცეცხლმა და ტყვიების დაშენამაც კი ვერ გასკრა ს. ჭყონიაზე, იმსახვე და მოისარფეშვილზედ (ასე გასინჯეთ ებრაელ ვაჭრებზედაც კი) შანტაისტების ნაწილი იძულებული გახდნენ „გამოცხადებულაყვენ“ ბნ პოლიცემისტერთან თავიანთი „გასაკირის“ ასახსნელათ, პოლიცემისტრმა მოისმინა რა შანტაისტებისა და მათი „შემაველების“ მოხსენება „ურჩია“ სანამ დანარჩენი წევრები „მობრძანდებოდნენ“ პოლიციაში, თქვენ „მოითმინეთ“ ჩვენს ბინაშიო და „გაგზავნა კიდეც ყველანი შესაფერ, „სასტუმროში“.

— ამავე „სასტუმროში“ მიიწვიეს „პოსაკირებმა“ ერთი ადგილობრივი თერძი, რომელიც, ჩოხებს უყვრავს თურმე „სასტუმროს“ მდგმურებს და „ზაკიხის“ დამთავრებამდე იქვე რჩება. ამობენ „სასტუმროში“ უფრო „სსპატიო და მთავარ“ წევრებსაც მიიპატიებენ „სასტუმროს“ უფროსებიო.

— ბნმა ტყემალაძემ უწინდელ „პრობახის“ გამოსასწორებლათ დამწუვლებთან ნება მისცა სხვა და სხვა ადგილებში პურის ფეკილის გატანის ფოთიდან, რომ დამწუვლი ხალხის „გულშემატკივარი წარმომადგენლები“ (ვაჭრები) მოემადლიერებია,

რის მიზეზითაც ფოთში პური აღარ იშვინება და თუ იშვინება (გარდა კოპონტაისის) სოფელგვარ ნიხის ვარეშე.

თუ შემოიღობა ჩამოვარდა განზრახულია იმ დადგენილების გამოცხობა მეფურეებისაგან რომლითაც ფეკილების წარმომადგენელი ბნი კაპეიკინი ვალდებული იყო უპრავასან ადგილობრივ საყოფი ფეკილი არ გამოლოვდა. პურის სიძვირესთან „ბრძოლის კომიტეტში“ არჩეული არიან ფეკილის წარმომადგენლები და მსხვილი ვაჭრები: ბ.ბ. კაპეიკინი, ლევავა, რუხაძე და თოფურიძე. იმედო, პირ ნათლათ შესარულებენ თავიანთ საქმეს და მოსპობენ სიძვირესთან ბრძოლის საქიროებას.

— მარგანეცის მუშებმა მიიღეს „მოწინავეთა“ წინადადება და დაადგინეს რადგან ხაზინეში ომის მიზეზით „შევიწროებული“ არიან ნამუშევარი ფულიდან ნახვარი აილონ და მეორე ნახევარით ხელი მოუპართონ აღებს ომის დამთავრებამდე. რადგან თუ არა მუშების „შორს მჭვრეტელობა“ მრეწველები „ანებებდნენ“ თავს წარმოებას ეს პირველი ნაბიჯია ქართველი მუშებისაგან ეროვნულ ბურჟუაზიის „შეგნებულათ“ გაძლიერებისაკენ (თუმცა ხსენებული მწარმოებლები ბერძენები კია) სხვა და სხვა დარგის მუშებმა მიმართა მარგანეცის მუშებს თავიანთ წარმომადგენლების საშვალვანლებით: დაგვალოს მარგანეცის მუშების ხელმძღვანელებმა სხვა დარგის მუშებსაც და ისე „მოგვიწეროვოს“ მუშების საქმე, როგორც ეს მარგანეცშიაო. მარგანეცის მუშებმა ყოყმანით უპასუხეს „ანახოთო“ როგორ ეტყობათ ძლიერ ენანებათ თავიანთი „მედნიერება“ სხვებსაც გაუზიარონ. ჩვენც ვნახოთ.

— კოპონტაისის მოწინააღმდეგე ხმოსანთა შტაბმა თავიანთ ჯარის სარდლობა ეცეკვილის ჩამოპართვა და მგლოვიარე სარდალს ჯაიანს ჩააბარა. უკანასკნელი არწმუნებს თურმე შტაბს: კოპონტაისის წევრების რკალს გავარდევო. . ესეც ვნახოთ!

ბუტუნას სააგენტო.



# განსაცდელი.

მამა-პაპურ ტახტზე გულაღმა ვიყავი წამოწოლილი არხენათ და ისეთი განცხრომით ვაბოლებდი თამბაქოს, რომ, დაწმუნებული ვარ, რომელსამე ნებიერ ფაშას უფრო ვგავდი, ვიდრე იუმორისტულ ჟურნალის გამხდარ თანამშრომელს.

ან კი რა უნდა მქონოდა სადარდელი?

ჟურნალის მორიგი ნომერი შედგენილათ მეგულეებოდა და სხვა საზრუნავი საიმიხო არც კი იყო, რომ იმაზე ფიქრით ჩემი ნეტარი ნირვანა დამერღვია.

სწორეთ ამ დროს გაიღო ჩემი ოთახის კარი და ფეხი შემოდგა იმან, ვისი დანახვაც ნიადაგ ნერვებს მიშლის ხოლმე და ვისაც მომავალ ორშაბათამდე არას გზით არ მოველოდი, ერთი სიტყვით—სტამბიდან გამოგზავნილმა კაცმა.

— რა გინდა, ყმაწვილო?—მივაძახე შემოსულს.

— მისალები, ბატონო!

— ხომ არ გაგიტებულხარ? რის მისალები? აკი საკმაოზე მეტი გავგზავნე!

— ცენზორმა თქვენი წერილი სულ დაიქირა, თეოფილემ (ჩვენი მეტრანაჰეი გახლავთ) ყველა განცხადებები ჩაჰყარა, მაგრამ ერთი გვერდი მიინც აკლია. ეხლავე უნდა გამატანოთ, ბატონო!

ეხლა კი ნებიერ ფაშას აღარ ვგავდი. ეხლა ვგავდი... მაგრამ ვის უნდა შევადარო ცენზორის აგან შეურაცყოფილი და გაბრაზებული ჟურნალისტი?

ვეფხვივით წამოვარდი ზეზე, ერთა ლაზათიანათ შეუჟკურთხე ჩვენს ცენზორს, დავჯექი და დავწერე შემდეგი:

## „განსაცდელი.“

მამა-პაპურ ტახტზე გულაღმა ვიყავი წამოწოლილი არხენათ და ისეთი განცხრომით ვაბოლებდი თამბაქოს, რომ, დაწმუნებული ვარ, რომელსამე ნებიერ ფაშას უფრო ვგავდი, ვიდრე იუმორისტულ ჟურნალის გამხდარ თანამშრომელს.

ან კი რა უნდა მქონოდა სადარდელი?

ჟურნალის მორიგი ნომერი შედგენილათ მეგულეებოდა და სხვა საზრუნავი საიმიხო არც კი იყო, რომ იმაზე ფიქრით ჩემი ნეტარი ნირვანა დამერღვია.

სწორეთ ამ დროს გაიღო ჩემი ოთახის კარი და ფეხი შემოდგა იმან, ვისი დანახვაც ნიადაგ ნერვებს მიშლის ხოლმე და ვისაც მომავალ ორშაბათამდე არას გზით არ მოველოდი, ერთი სიტყვით სტამბიდან გამოგზავნილმა კაცმა.

— რა გინდა, ყმაწვილო?—მივაძახე შემოსულს.

— მისალები, ბატონო!

— ხომ არ გაგიტებულხარ? რის მისალები? აკი საკმაოზე მეტი გავგზავნე!

— ცენზორმა თქვენი წერილი სულ დაიქირა, თეოფილემ (ჩვენი მეტრანაჰეი გახლავთ) ყველა განცხადებები ჩაჰყარა, მაგრამ ერთი გვერდი მიინც აკლია. ეხლავე უნდა გამატანოთ, ბატონო!

ეხლა კი ნებიერ ფაშას აღარ ვგავდი! ეხლა ვგავდი... მაგრამ ვის უნდა შევადარო ცენზორის აგან შეურაცყოფილი და გაბრაზებული ჟურნალისტი?

ვეფხვივით წამოვარდი ზეზე, ერთი ლაზათიანათ შეუჟკურთხე ჩვენს ცენზორს, დავჯექი და დავწერე შემდეგი:


## „განსაცდელი.“

მამა-პაპურ ტახტზე გულაღმა ვიყავი წამოწოლილი არხენათ და ისეთი...

მაგრამ, კმარას ერთი გვერდის მისალა შესრულდა კიდევ და ნომერი მზათ არის. თუ თავი შეგაწყინეთ, ცენზორს დააბრალოთ, და მე კი მადლობა მითხარიოთ, რომ ბოლომდის არ ვიამბეთ, რაც იმ განსაცდელის დროს დავწერე.

ეხლა კი სტამბაში გავგზავნათ!

ნამუქოდროსორ.



## სიძვირე თფილისში

ქვემოთა  
გერმანიის



ჩვენი ვაჭრები თავიანთ მუშტარ კალებს მართალია კარგ საკაბეებს ჰყდიან, მაგრამ სამაგიეროთ ტანზე ყველაფერსა ხდიან და ლამის ტყაიცი დატოვებინან მაღაზიაში.

## იყიდება გასული წლების ყურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ.  
34 ნომერი 3 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ — 1909 წლ.  
34 ნომერი 3 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად შვენიერი  
ყლით ელირება — 9 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი — 3 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10  
ნომერი — 50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენი ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდაღებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія  
Шрома, Теофилу Болквадзе.